საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-46/ნ

2022 წლის 20 ივნისი

ქ. თბილისი

„ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 9 აგვისტოს №338/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 9 აგვისტოს №338/ნ ბრძანებაში (სსმ, №113, 13/08/2007; 470.230.000.22.035.010.732) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებული №3 დანართის (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) გაცემის პირობები) მე-4 მუხლს დაემატოს მე-2 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

,,2. მგზავრობისას საავიაციო ტრანსპორტით სარგებლობის შემთხვევაში, შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებისთვისაც დიაბეტის სამართავად სასიცოცხლოდ აუცილებელია მედიკამენტების, შპრიცებისა და ნემსების, ასევე, გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის სისტემის (CGM) და სხვა ტექნიკური მოწყობილობების მუდმივად თან ქონა - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობასთან (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) ერთად, შესაძლებელია გაცემულ იქნეს ორენოვანი ცნობა (,,შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის“ დანართი №2.1), რომელშიც ქართულ და ინგლისურ ენებზე მიეთითება ცნობის გამცემი სამედიცინო დაწესებულების დასახელება, პაციენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები (გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი), დიაგნოზი და ზემოაღნიშნული საშუალებების მუდმივად თან ქონის აუცილებლობა. ცნობას ხელს აწერს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი/მკურნალი ექიმი (ექიმი-სპეციალისტი) და დაისმება სამედიცინო დაწესებულების ბეჭედი, ხოლო ცნობის გაცემის შესახებ ინფორმაცია აღირიცხება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობასთან (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) ერთად სპეციალურ ჟურნალში.“.

2. ბრძანებას დაემატოს №2.1 დანართი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **ზურაბ აზარაშვილი**

დანართი №2.1

ცნობა

შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის

Certificate for the patients diagnosed with diabetes

ცნობის გამცემი სამედიცინო დაწესებულების დასახელება/Name of the certificate issuing medical facility

_____

პაციენტის სახელი და გვარი/Name and surname of the patient

_____

დაბადების თარიღი (თვე/წელი/დღე)/Date of birth (month/year/day)

_____

პირადი ნომერი/Personal number

_____

დიაგნოზი /Diagnosis

პაციენტისთვის შაქრიანი დიაბეტის სამართავად სასიცოცხლოდ აუცილებელია ინსულინი, გლუკაგონი, შპრიცები, ნემსები და სხვა ტექნიკური მოწყობილობები (CGM – გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის სისტემა, ინსულინკალმები, ინსულინტუმბო და ა.შ).

Insulin, glucagon, syringes, needles and other technical equipment (CGM - Continuous glucose monitoring system, Insulin pen, Insulin pump, etc.) are vital for this patient for the management of diabetes mellitus.

_____

დაწესებულების ხელმძღვანელის/

ბეჭდის ადგილი/Place of seal

მკურნალი ექიმის (ექიმი-სპეციალისტის) ხელმოწერა/

Signature of the head of the medical facility/Responsible doctor

_____

ცნობის გაცემის თარიღი/Date of issuance of the certificate

.